ქ. თბილისი „17“ ივლისი 2010 წ.

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის და საქართველოს უნივერსიტეტის

თანამშრომლობის შესახებ

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით და საქართველოს უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის მანანა სანაძის სახით, - შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა ფუდამენტურ და გამოყენებით ფიზიკსა და მასზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებში ქართული სამეცნიერო სკოლების ტრადიციებსა და მიღწევებს, მოწინავე ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს და ამ მიმართულებით მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები წაახალისებენ ფუდამენტურ და გამოყენებით ფიზიკისა და მასზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების მიმართულებებით კვლევების სფეროში ურთიერთობათა განვითარებას და განახორციელებენ თანამშრომლობას საერთო ინტერესების სფეროებში.

მუხლი 2

მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას თეორიული, ექსპერიმენტული და გამოყენებითი ფიზიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების შექმნის/სრულყოფის მიმართულებით და განახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს:

- ერთობლივი სადოქტორო და სამაგისტრო, საბაკალავრო და პროფესიული განათლების პროგრამების მომზადებას და განხორციელებას;
- ერთობლივი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროექტების მომზადებას;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, ექსპერიმენტული და გამზომი აპარატურის ერთობლივი გამოყენებას;
- სახელმწიფო პროგრამებში ერთობლივ მონაწილეობას;
- საერთაშორისო პროგრამებში ორმხმრივ და მრავალმხრივ მონაწილეობას;
- ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ახალგაზრდა კადრების მომზადებას და მათ პროფესიულ ზრდას;
- თანამშრომელთა ნაშრომების პოპულარიზაციას საკუთარ და პარტნიორ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში;
- მეცნიერ-თანამშრომელთა გაცვლით საჯარო მოხსენებებს;
- მოთხოვნილების შესაბამისად აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას;
- საბიბლიოთეკო ფონდებით თავისუფლად სარგებლობის უზრუნველყოფას მხარეების თანამშრომლებისათვის;
- ერთობლივ სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად;

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 5

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს რომელიმე მხარის მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2010 წლის 2 ივლისს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ხელმოწერები:

საქართველის უნივერსიტეტის რექტორი
ისტ. მ. დოქტორი, პროფესორი — მანანა სანაძე

გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორი, დოქტორი, პროფესორი — ნიკოლოზ ჩიხრაძე